ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1701 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 19 იანვარი № 1701

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. ქალდიძე

რკეევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—4)

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ქართული თეატრი

კვირას, 20 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქეთო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით.

დაკლებულის ფასებით

ცნობილი პიესა

I

დამნაშავეა?

დრამა 3 მოქ. გად. ნიკიტინისა.

II

კინტო

კომედია 3 მოქ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, ლეკავა მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება დ. აწყურელის საბენეფისოდ: „დასჯილი“ „საგიჟეთში“.

რეჟისორი ვ. გუნია

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილ.—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1 1/2—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო — ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი — შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქუთაისში, ვ. ბექანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. როგორც გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით, რადიკალმა დეპუტატმა ლოიდ ჯორჯმა მკაცრად გაჰკიცხა კემპბელ-ბანერმანის წინადადება. ოპოზიციის წინამძღოლმა იმ ანგარიშით შეადგინა თავისი წინადადება, რომ ლიბერალური დასის ყველა ჯგუფები მიემხრო, მაგრამ მაინც ვერას გახდა. ლიბერალ-იმპერიალისტებს სამხრეთ-აფრიკის ომი სამართლიან საქმედ მიაჩნიათ, რადიკალებს კიდე უსამართლოდ. აბა ლიბერალ-იმპერიალისტები როგორ მოიწონებდნენ ოპოზიციის წინადადებას, როდესაც ამ წინადადებაში ნათქვამია, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი უსამართლო საქმეაო, ვერც რადიკალები დაუჭერდნენ მხარს, რადგანაც წინადადება ომის განგრძობას თხოულობს. ვერც რადიკალები და ვერც იმპერიალისტები ვერ დაეხმარებოდნენ კემპბელ-ბანერმანს, რადგანაც მისი წინადადება მეტად ორჭოფად, მეტად არეულად იყო დაწერილი. აგი ლოიდ ჯორჯს ეთქვა კიდეც: „კემპბელ-ბანერმანის წინადადება თხოულობს: რადიკალებმა უნდა სთქვან, რომ ის, რასაც შავად ვსთვლით,—თეთრიაო, იმპერიალისტებმა კიდე უნდა სთქვან, რომ ის, რასაც თეთრად ვსთვლით—შავიაო. ეს შეთანხმება კი არაა, ეს ნამდვილი უაზრობაა“.

ლოიდ ჯორჯის სიტყვამ თურმე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე. რადიკალებმა, ირლანდიელებმა და თვით კონსერვატორებმა საშინელი ტაშის ცემა ასტეხეს. ჯორჯმა თავისი სიტყვით ანდერძი აუგო წინადადებას. მთავრობის დასის წინამძღოლს ბალფურს ბევრი ლაპარაკი აღარ დასჭირდა, ორიოდე სიტყვა-და სთქვა: „რაღა საჭიროა, რომ ოპოზიციის წინადადება გავკიცხო; ოპოზიციის წარმომადგენელმა დეპუტატმა, ჩემზე წინ რომ ილაპარაკა, გამანთავისუფლა ამ მოვალეობისაგან“.

ირლანდიელებმა, რადიკალებმა და ზოგმა ლიბერალ-იმპერიალისტმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. ლიბერალ-იმპერიალისტთაგან არ მიიღეს მონაწილეობა: ედუარდ გრეიმ, გოლდანმა, პერკსიმ და სხ. სამაგიეროდ გამოჩენილი იმპერიალისტი ჰენრი ფოულერი კემპბელ-ბანერმანს მიემხრო.

✿ პარლამენტის სხდომაზე, 9 იანვარს, საპასუხო ადრესზე იყო კამათი. ლიბერალმა დეპუტატმა პირიმ წინადადება შეიტანა, რომ ინგლისის ყოველ ნაწილს ცალკე პარლამენტი დაუწესდესო. პირი ამტკიცებდა; დროა, რომ შეერთებული სამეფოს ყოველ ნაწილს თვით-მმართველობა მიენიჭოს ადგილობრივ საქმეებში, ამისათვის საჭიროა, რომ ცალკე კანონ-მდებელი დაწესებულებანი დაწესდეს და იმპერიის კანონ-მდებელმა კრებამ (პარლამენტმა) საჭირო უფლება მიანიჭოს ამ ადგილობრივ დაწესებულებათაო.

პირიმ სთქვა: ეხლანდელი პარლამენტის წყობილება უსათუოდ უნდა შეიცვალოსო. მცოდნე და გაგებული ხალხი ყველგან მოემხრობა ამ რეფორმასაო. საზოგადოებამ დღემდე არ იცის კარგად, თუ რამდენი საქმის ასრულება შეუძლიან პალატასაო. ამომრჩევლები მეტად ბევრ საქმეს ავალებენ თავიანთ დეპუტატებს. ნამდვილად კი დეპუტატები 100 საქმეში 95-ის განხილვასაც ძლივს ასწრობენო. ორატორმა მოიხსენია, თუ რამდენ დროს ანდომებს ეხლა პალატა კენჭის ყრასა და ხმის შეკრებას. იმდენი საქმე მოგროვდება ხოლმე, რომ ხანდახან პალატა ძალა უნებურად ერთ საღამოს დიდ-ძალ ხარჯებს იხილავს და ამტკიცებს ხოლმე. არც ის უნდა გვავიწყდებოდეს, რომ პარლამენტი საიმპერიო საქმეებსაც იხილავს, ინდოეთის შესახებ იმდენი საქმეა ხოლმე, რომ პალატა იმათ განხილვას ვერც კი ასწრობს. პარლამენტის წესების გაუმჯობესება საქმეს ვერ უშველის, რადგანაც პალატას აუარებელი მოვალეობა აქვს. ჩვენი ქვეყანა ლორდ-როზბერის მადლობელი უნდა იყოს, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქცია. მართლაც და, პარლამენტის ზოგიერთი მოვალეობა ადგილობრივ დაწესებულებათ რომ გადაეცეს, ამით პარლამენტს დიდად გაუადვილებდით მოქმედებას. ბ-ნი კემპბელ-ბანერმანიც იმ აზრისაა, რომ ყველგან ადგილობრივი ჰომრული (პარლამენტი) დაწესდესო. ჩემი პროექტი, რასაკვირველია, სრული და უნაკლულო არაა, მაგრამ მაინც ბევრს ეხლანდელ დაბრკოლებასა და უსიამოვნებას მოუღებდა ბოლოს. ეს რეფორმა საფუძვლად დაედებოდა ჩვენის იმპერიის ფედერაციას და ირლანდიის მუდმივ უკმაყოფილებასა და ჩივილს მოსპობდა.

ამ წინადადებას ლიბერალი უაიტლი გამოესარჩლა. ორატორმა სთქვა: „ბევრ ამომრჩეველს თითონ სიტყვა ჰომრული აშინებს. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ ჰომრულის მაგივრად ასე გვთქვათ: ადგილობრივი თვით-მმართველობა ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების მსგავსად“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა რიჩიმ მთავრობის სახელით გადაჭრით უარ-ჰყო პირის წინადადება. მინისტრმა სთქვა.

„ინგლისში და შოტლანდიაში არავის არ უნდა ჰომრული; უელსელებს სწადიანთ ჰომრულის დაწესება, მაგრამ პალატამ ამას-წინად უარ-ჰყო უელსის ჰომრულის პროექტი. ირლანდიაზე კიდევ ის უნდა მოგახსენოთ, რომ, არა მგონია, ირლანდიელი ნაციონალისტები მარტო ადგილობრივი

ფელეტონი

—

ვარამი ჩვენი ცხოვრებისა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი მე-15

თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ძალიან სამართლიანად მისაყვედურებთ, რომ აქამდის არ გამოგელაპარაკეთ იმ საგანზე, რომელიც ასე გაინტერესებთ თქვენ. ამისი მიზეზი, გარდა მოუცლელობისა, უმთავრესად ის იყო, რომ მე აქამომდის თქვენი უკანასკნელი წერილის შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ ვარ – ჯერ ვერ გამოვრკვეულვარ, ჯერ ვერ მიმიცია ჩემი თავისთვის ანგარიში, ჩემი აღტაცება ჯერ არ დადუმებულა და მინდა კიდეც უფრო ხანგრძლივად ვიმყოფებოდე ამ მდგომარეობაში და ერთი ათად გავაძლიერო ეს ნეტარება თქვენი კარგის ამბის გაგებით. მოდი და ნუ გაიხარებ, სიხარულის აღტაცებას ნუ მისცემ შენს გულს, როდესაც კარგს რამეს გაიგონებ ჩვენი საცოდავი სამშობლოს დღეგრძელობისთვის. და განა რაა ჩემი აღტაცების მიზეზი? თქვენ არა კმარობთ მარტოკა თქვენს ნიკოს უხელმძღვანელოთ აღზრდა-სწავლაში. თქვენი მოქმედებითი ასპარეზი უფრო გაგიფართოვებიათ და ნიკოსთან დაგიახლოვებიათ თქვენი სოფლის გოგო-ბიჭები და თქვენ შვილთან ერთად ამათაც ხელმძღვანელობთ სწავლა-აღზრდაში და გამოგყავთ საბნელეთიდან. მოდი და ამ შემთხვევით ნუ გაიხარებს უიმედობით დატვირთული ქართველი კაცის გული! ნეტარება მაგ სოფელს, რომლის დღეგრძელობისთვის თქვენ მოვლენილხართ, ნეტარება იმ ოჯახს, სადაც თქვენა სტრიალებთ და ნეტარება იმ ერსაც, რომელსაც შეუძლიან იტრაბახოს თქვენი კარგი დედობით და მამულიშვილური მისწრაფებითა. თქვენი გზა ჭეშმარიტი გზაა, გზა ნათლისაკენ და ნუ გადუხვევთ ამ დალოცვილ გზას, ნუ შეგაშინებს ცხოვრების ქარიშხალი, „შავი ყორანი“ ნუ დაისადგურებს თქვენს საიმედო გულში. ცხოვრება არ მოგაკლებს თქვენ კრულვა-წყევლას, შურს, დაცინვას, მაგრამ გამხნევების მაგალითები ბევრი გაქვთ... მოიგონეთ ხოლმე კორნელია—ეს დალოცვილი დედა გმირი გრაკხებისა. ამისაებრ ამაყად წარსდექით თქვენი მკილავების წინაშე. წარუყენე თქვენი საზრუნავი შვილები, გოგო-ბიჭები და ასე მოახსენე ამათ: „თქვენ მე დამცინით, მე კი ვამაყობ, თქვენა მწყევლით და მე კი ვლოცულობ თქვენთვის და ამ პაწაწინების დღეგრძელობისათვის, ესენი არიან ჩემი სიმდიდრე, ჩემი სიამაყე და ჩემი სულის კვეთება“. ყველანი გაქვავდებიან და თქვენი ნათლიანი გზა უფრო ნათლად გაანათებს წყვდიადის გასაქარწყლებლად.

ამის შემდეგ, მოწყალეო ხელმწიფევ, შემიძლიან გამოგელაპარაკოთ იმ საგნის შესახებ, რომელზედაც მე-14 №-ში დაგპირდით. უცხო ენის სწავლების ხერხი მრავალ-გვარია, ბატონო ჩემო, მაგრამ ყველა მას არ დაუწყებ აქ შინჯვას, რადგანაც ამას ბევრი დრო უნდა და თქვენი ყურადღებაც არ მინდა დავღალო წვრილმანებით. მე აქ მსურს გემასლაათოთ იმ მეტოდებზედ, რომელთაც საზოგადო ხასიათი მიუღიათ და რომლებითაც ხელმძღვანელობენ ჩვენს ქვეყანაში. ამ გვარი მეტოდთა სამია და პირველი ადგილი მათ შორის ესრედ წოდებულ „ბუნებითი მეტოდს“ (естественный методъ) უკავია მეტოდებთა შორის და მეტს სახელად მუნჯურ მეტოდად ალვიარებულია; მეორე მეტოდი, თუ ასე შეიძლება დავარქოთ—აღწერილობითი მეტოდი (описательный методъ) და 3) ცოცხალი მეტოდი (живой методъ). აი სწორედ ამ სამს მეტოდზედ უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება და გაგითვალწინოთ მისი ავი და კარგი მხარეები.

პირველი მეტოდის ისტორიის მოთხრობა ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგანაც ეს არ ახალია—ძველია, მხოლოდ ჩვენთვის კი ახალი ხილია და მის მქადაგებელად და სულის ჩამდგმელად ჩვენში ითვლება ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ნადირექტორალი ბ-ნი ლევიცკი. დედა აზრი ამ მეტოდისა იმაში გამოიხატება, რომ „უსამშობლო ენით“ შეასწავლოთ ბავშვს რუსული ენა. მგონი, ეს განმარტებაც საკმარისია თქვენთვის, ბატონო ჩემო, რომ უარჰყოთ ეს მეტოდი, მაგრამ საჭიროა მისი დახასიათება, რათა ალჭურვილმა საბუთებით იწყოთ ბრძოლა ამ პედაგოგიურ უკუღმართობასთან. დავიწყოთ მაგალითებიდან: მე შემთხვევა მომეცა დავსწრებოდი რამდენიმე გაკვეთილს ამ მეტოდით და მეც და მრავალნი სხვებიც, რომელთაც სჯეროდათ სიკეთე ამ მეტოდისა, უკმაყოფილონი გამოვედით სკოლიდან. გაკვეთილს აძლევდა გამოცდილი მასწავლებელი 7—8 წლის ბალანებს, რომლის უმეტესობამ არ იცოდა არც ერთი სიტყვა რუსულიდან. მასწავლებელს აზრადა ჰქონდა, ამ მუნჯური მეტოდის შემწეობით გაეცნო ბავშვები რუსულ სიტყვებთან: „перо лежитъ, пишетъ, это, на столѣ“ და სხვა. აილო კალამი, დაანახვა ბავშვებს და უთხრა: „это перо“. უნდოდა გაემეორებინა ბავშვებისათვის ეს სიტყვები, მაგრამ ბავშვები მუნჯურად ისხდნენ, რადგანაც არც ერთმა არ იცოდა, თუ რას ითხოვდა მისი მასწავლებე-

საქმეების განხილვით დაკმაყოფილდნენ. მინისტრმა გაახსენა პალატას, რომ 1888 წელს გამოცემული კანონის ძალით ადგილობრივ თვითმმართველობას დიდი უფლება მიენიჭა; იმ დროს დაწესებულ საგრაფო საბჭოებს, შეიძლება, მომავალში უფრო მეტი უფლება მიენიჭოს, მაგრამ ჰომრულამდე მაინც ჯერ კიდე შორსაა. ადგილობრივი პარლამენტები რომ დავაწესოთ, ეჭვი არაა, ეს პარლამენტები მარტო ადგილობრივი საქმეების განხილვას არ დასჯერდებიან და საიმპერიო საქმეებშიაც გაერევიან; ეს გარემოება კი, რასაკვირველია, ჩვენ იმპერიას დაასუსტებდა. რანაირი სახელიც უნდა დაარქვან ჰომრულს, მაინც მთავრობა არას დროს არ დასთანხმდება, რომ შეერთებული სამეფოს ყოველ ნაწილს თავისი საკუთარი კანონ-მდებელი კრება დაუწესდეს" (სამინისტროს მომხრე დასი ტაშს უკრავს).

პირის წინადადებას პალატამ კენჭიც არ უყარა, ისე უარ-ჰყო. პირის ოპოზიციის დაუკითხავად წარედგინა თავისი წინადადება.

ავსტრ-უნგრეთი. ამას წინად დეპეშებში მოკლედ ეწერა: „იუპიტერის" მაღაროში აფეთქება მოხდა და 44 კაცი დაიღუპაო". არც დეპეშასა და არც გაზეთებს თავი აღარ შეუწუხებიათ ამ ვიღაცა დაღუპულებისათვის. დეპეშებში რიგზე არც კი ეწერა, თუ სად, რომელ ქვეყანაში მოხდა ეს უბედურება და რა მიზეზმა გამოიწვია ეს საცოდაობა. „რუსკია ვედომოსტი"-ს ვენელი კორესპონდენტი დაწვრილებით მოგვითხრობს ამ უბედურების ამბავს. ეს საზარელი ამბავი ავსტრიაში, ჩრდილოეთ ბოჰემიაში მომხდარა. კორესპონდენტი სწერს:

„ავსტრიაში ამ ჟამად ყველანი იმ საზარელ უბედურებაზე ლაპარაკობენ, „იუპიტერის" მაღაროში რომ მოხდა. ამ უბედურებამ 44 მენახშირე მუშა იმსხვერპლა. როდემდის იქმნება ასე, რომ მადნის პატრონთა სიხარბეს კაცის სიცოცხლეზე მეტი ფასი ჰქონდეს?—ჰკითხულობენ აქაური გაზეთები. ათასი სხვა მიზეზი მოიგონონ, მაინც ცხადად დამტკიცდა, რომ ამ უბედურების უმთავრესი მიზეზი მადნის პატრონთა სიხარბე იყო. უბედურების სწორედ მეორე დღეს, „ავსტრიის მრეწველობის წარმომადგენლებმა" ბალი გამართეს. ეს ბალი ყოველ წელიწადს იმართება. იმპერატორი თავის ამალით ყოველთვის დაესწრება ხოლმე ამ ბალს. დაესწრო წელსაც. იმპერატორს ეკითხა დიდი მადნის პატრონი ბარონ გუტმანისათვის, რა ნაირად მოხდა ეგეთი საშინელი უბედურებაო. ბარონ გუტმანს ხელად ეპასუხნა, „რაც კი კანონით ნაბრძანებია, ყველაფერი ღონისძიება რიგზე იყო შესრულებული ამ მაღაროშიო... ამ მაღაროში ისეთი მშვენიერი და გონიერი წესები იყო დაწესებული მუშებისათვის, რომ ბელგიამ და ინგლისმაც კი სამაგალითოდ ჩაავდეს და თითონაც ესეთი წესები დააწესოსო"... ამ ნაირადვე სწერდნენ ზოგიერთი გაზეთებიც. ესენი საზოგადების დასამშვიდებლად ამტკიცებდნენ, რომ თითონ „იუპიტერის" მაღაროში და იმის მეზობლად სხვა მაღაროებშიაც საგანგებო წესები იყო დაწესებული, რომ არაფერი უბედურება არ მომხდარიყოო.

უნდა იცოდეთ, რომ ბრიუკის ქვა-ნახშირის მადნები, სადაც ეს უბედურება მოხდა, მდინარე ბიალას ქვეშ მდებარეობს. მთელ ამ არე-მარეში ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ერთი გაბმული ტბა იდგა; ეხლაც კუ დიდი გუბეა აქა. წვიმებს შემდეგ და წყალ-დიდობას აქ დიდი გუბეები დგება, დედა-მიწაც ძირს დაიწევს და დაეშვება ხოლმე. აქაურ მადნის მაღაროებში, წინადაც ასობით დაღუპულან აქ მუშები. ზოგიერთი გაზეთი ირწმუნება, ვითომ მადნის გამგეთ ყველა ეს ახსოვდათ და „იუპიტერის" მაღაროში, სადაც ყოველთვის 160 კაცი მუშაობს, განგებ კაცები იყვნენ მიჩენილნი, რომ საშიში ადგილებისათვის ყური ეგდოთ. ცალკე კიდევ განგებ გალერეიები იყო გამართული, რომ უბედურების დროს მუშებს ამ გალერეიებით შესძლებოდათ ამოსვლა. ყოველთვის, როცა მაღაროში უშვებდნენ სამუშაოდ, მენახშირე მუშებს აგონებდნენ, გახსოვდეთ ის გალერეიებიო, ხშირად განგებ ასწავლიდნენ კიდეც, თუ როგორ უნდა ეშველათ თავიანთ თავისათვისაო. მაშ როგორ-და მოხდა, რომ ამ უბედურების დროს მაინც ამდენი კაცი დაიღუპა და წუთი-სოფელს გამოესალმა? ამის პასუხს იძლევა ჩეხური გაზეთი „ნაროდნი ლისტი". ეს გაზეთი სულ სხვანაირად ჰხსნის ამ უბედურების მიზეზს. გაზეთი ამბობს: „იუპიტერის" მაღარო სულ უბრალოდ იყო გამართულიო. გაზეთის აწერილობას ისიც ამტკიცებს, რომ უბედურების დროს ამოსაყვანი მაშინა უცებ მოიშალა და ვეღარავინ ამოიყვანა. სხვა მარქაფა ამოსაყვანი მაშინის ხსენებაც არა ყოფილიყო. ეჭვს გარეშეა, რომ დაღუპულთაგან ბევრმა დიდის წვალებით ამოსასვლელ ადგილამდეც მოახწია, ცა და მზეც დაინახა, მაგრამ რაა, მაშინა მოშლილი დაუხვდათ და უბედურებს ცის დანახვამ მხოლოდ უფრო გული მოუკლათ, სულ ერთია, საშველი არსად იყო.

აქაურ მადნებში წესადაა მიღებული, რომ ჯერ საშიშ მაღაროებიდან უნდა გამოიღონ ნახშირი; სულ ერთია, ეს მაღაროები მალე ან სულ დაინგრევა, ან წყლით აივსება და ვეცადნეთ, რომ, რაც შეიძლება, მეტი ნახშირი გამოვიღოთ, თორემ სულ მუქთად ჩაგვიგდისო. მადნების უფროსი ინჟენერი ბინდერიც ამ წესს მისდევდა. ჯერ კიდე უბედურების რამდენიმე დღის წინად გამოცდილმა მუშებმა გააფრთხილეს ინჟენერი, მაღაროში რაღაცა საეჭვო გრიალი ისმისო; ისიც ხომ ყველამ იცოდა, რომ მდინარე ბიალა დიდი წვიმების გამო ადიდდა და დედა-მიწა ყველგან ძლიერ მოლბა. ინჟინერი მაინც ყოველ-დღე ამუშავებდა მუშებს. სინამ შეიძლება, მუშაობაზე ხელს ნუ აიღებთო. უბედურების დღესაც ძველმა უფროსმა შტეიგერმა (მადნის ოსტატმა) გააფრთხილა ინჟენერი, ძალიან საშიშია ეხლა მუშაობაო, ინჟენერმა მაინც ისევ ჩაგზავნა მუშები მაღაროში. ერთი გადარჩენილი მუშა ამბობდა შემდეგ, რომ იმ დღეს თითქმის ეჭვი არა მქონდა, რომ უბედურება უნდა მომხდარიყო. გასასვლელი კარგად დავიხსომე და აგი თავსაც გუშველეო.

უფროსმა შტეიგერმა მადნიდანაც კი შეუთვალა ინჟენერს, დიდი შიშია და კაცები უნდა ამოვიყვანოთ მაღაროდანაო. ინჟენერმა მაინც არ მისცა ნება და ისევ თითონ ჩავიდა მაღაროში, დასარწმუნებლად, თუ მართლა ასეთი შიშიაო? მხოლოდ მაშინ, როცა თითონ დარწმუნდა, რომ საცაა, უბედურება მოხდებოდა, ინჟენერმა უბძანა, რომ ყველანი ასულიყვნენ მაღაროდან, მაგრამ გვიანღა იყო: წყალმა თაღები გაარღვია და შიგ მაღაროში შევარდა.

(გაგრძელება იქნება)

ახალი ამბავი

◆ კავკასიის გუბერნიებში საფაბრიკო **უფროსა ინსპექტორების** და საფაბრიკო ინსპექტორების თანამდებობაზე იანვრიდან დაინიშნენ: 1) უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე ტფილისის გუბერნიაში—ინჟენერ-მეხანიკი ხულიმსკი; ჩერნომორსკისა—მოსკოვის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი, ტეხნოლოგი ობუხოვსკი; ქუთაისისა—ბაქოს გუბერნიის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი, ინჟენერ-ტეხნოლოგი პისარენკო; ბაქოსა—ეკატერინოსლავის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი, ინჟენერ-ტეხნოლოგი ბრანლოვსკი; 2) საფაბრიკო ინსპექტორის თანამდებობაზე: ჩერნომორსკის გუბერნიაში—ინჟენერ-ტეხნოლოგი მაიგური და კანდიდატი საფაბრიკო ინსპექტორისა ინჟენერ-ტეხნოლოგი მალინოვსკი. ამასთანავე თერგის ოლქის მეხანიკოსის თანამდებობაზე გადაყვანილია ქუთაისის საგუბერნიო მეხანიკოსი ტეხნოლოგი სინიცინი.

◆ „კავკაზ"-ში ვკითხულობთ: ტფილისის იმ სახლის პატრონებს, რომლებიც 25 იანვრამდის არ დაიქირავებენ მეეზოვებს, არ შეიძენენ საადრესო ფურცლებსა და წიგნებს, სადაც უნდა აღინიშნოს პოლიციისთვის საჭირო ცნობები ქალაქში მოსულს და ქალაქიდან გასულს ხალხზედ—ადმინისტრატიულის წესით **გადახდებათ ჯარიმა** 500 მანეთამდე და დატუსაღებულ იქმნებიან სამ თვემდე.

◆ ამ დღეებში იმერეთიდან ტფილისში ჩამოვიდნენ იმერეთისა და გურია სამეგრელოს ეპისკოპოსნი: **ლეონიდე და ალექსანდრე.** ეპისკოპოსი ლეონიდე გუშინ, 18 იანვარს ქუთაისშივე დაბრუნდა.

◆ 17 იანვარს, საქართველოს ეგზარხოსის ალექსის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდათ საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების წარმომადგენელთ იმაზე მოსალაპარაკებლად, თუ როგორ გაუმჯობესდეს **მონასტრების მდგომარეობა.** კრებაზე, სხვათა შორის, დაადგინეს მონასტრების საფასით დარიის მონასტრის ეზოში (ტფილისშია) აშენონ ერთი სახლი, სადაც უფასოდ ცხოვრებით სარგებლობა შეეძლოთ ყველა იმ მონასტრების ბერებსა და მსახურთ, რომელთაც ტფილისში სამსახურისა თუ რამ სხვა მიზეზით მოუხდებათ ხოლმე ჩამოსვლა.

◆ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, კავკასიის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, გადაწყდა სასანიტარო-საექიმო თავ **შესაფარის აშენება** კავკასიის სამს ქალაქში: ფოთში, ბათუმში და ბაქოში.

◆ 22 იანვარს ქალაქის საბჭოს დარბაზში, ადმინისტრაციის ნებართვით, დანიშნულია **საზოგადო ყრილობა ხელოსანთა**, რათა განიხილონ ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა და გაანაწილონ შემოსავალი.

◆ დღეს, 19 იანვარს, მოხდება კრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი, რომელზედაც მოილაპარაკებენ, რომ **მონაწილეობა მიიღონ** მოსკოვში მეღვინე—მევენახეთა კრებაზე, რომელიც დანიშნულია 10 თებერვლისათვის.

◆ ამ წლის მომავალს სექტემბერში ქალაქში **გაიხსნება ყრუ-მუნჯთა** სკოლა. ამ საქმისთვის თითქმის ყველაფერი მზად არის.

◆ 17 იანვრის სხდომაზედ ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ **ქართული ენის მასწავლებლად** სოლოლაკის პირველ დაწყებით სასწავლებლებში დანიშნა ბასილეთის საზოგადოების 2 კლასიან ნორმალურ სკოლის მასწავლებელი ნესტორ ნიკოლეიშვილი. ავლაბრის სკოლებისათვის ქართულის ენის მასწავლებლის არჩევანი გადაიდვა კომისიის შემდეგ სხდომისათვის.

◆ ხუთშაბათს, 17 იანვარს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა **გამგე კომისიას**. კომისიამ პირველად განიხილა ხმ. ას. ს. ბაბოვის მიერ შემუშავებული გეგმა ქალაქის სასწავლებელთა შენობის ასაგებად; ამ შენობაში უნდა მოთავსებულ იქმნას ორი პირველ დაწყებითი სკოლა 300 შეგირდით. ხარჯთ-ღარიცხვით ქალაქს ამ შენობის აგება დაუჯდება სულ 41,600 მან. კომისიამ მოიწონა პროექტი და დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას აღნიშნოს ამ შენობისათვის საჭირო ადგილი. როდესაც გამგეობა ადგილს უჩვენებს კომისიას, მაშინ ეს პროექტი გარდაეცემა გამგეობის საამშენებლო განყოფილებას საბოლოო ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად და საქმის განსახორციელებლად. ამავე სხდომაზე კომისიამ ვარდასწყვიტა შეტანილ იქმნას მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 260 მან., რომლითაც უნდა შეიძინონ ქალაქის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოსათვის 5 საკერავი საუკეთესო სისტემის მანქანა.

◆ ამავე სხდომაზე კომისიამ განიხილა მოხსენება მცირე კომისიისა, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება მიიღოს ქალაქმა თავის თავზე კნ. მ. გ. თუმანოვის მიერ ტფილისში დაარსებული ხალიჩების საქსოვი სახელოსნო. კომისიამ შესაძლებლად სცნო ამ სახელოსნოს ქალაქის ხარჯით შენახვა-პატრონობა.

◆ ქალაქის გამგეობა შეუდგა მოსაწოდებელ სიების შედგენას იმ ყმაწვილ კაცთა, რომელნიც მიმავალი წლის შემოდგომაზედ **გამოწვეულ უნდა იქმნენ** სამხედრო სამსახურში. ამ სიებს გამოაქვეყნებენ აპრილში.

◆ ხუთშაბათს, 17 თებერვალს, ქართულ თეატრში გაიმართა წარმოდგენა მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ. წარმოადგი-

---

ლი. კიდევ გაიმეორა „это перо"—ორჯელ სამჯერ, მრავალჯერ, მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწია. ბოლოს, როგორც იქმნა, ერთმა გაიმეორა და ამას სხვებიც მოჰყვა. „Это перо, это перо" გაისმა ძახილი; მერე მოინდომა მასწავლებელმა ერთად, მთელი კლასისთვის, ეთქმევინებინა ეს სიტყვები და აქაც უარესობა დაემართა საწყალს მასწავლებელს.—„Скажите вмѣстѣ", იქნევს მასწავლებელი ხელს. ყმაწვილები განცვიფრებით შეჰყურებენ თავიანთ ოსტატს და მთქნარებით პროტესტს უცხადებენ ამგვარ სწავლების წეს-რიგს. ამ წვალებით მასწავლებელმა გაატარა მთელი ერთი საათი და ყოვლად უშედეგოდ. მეორე სკოლაში, როგორც ერთმა ჩემმა მეგობარმა პედაგოგმა გარდმომცა, უფრო უარესი დაჰმართნია. მასწავლებელს მოუნდომებია ბავშვებს შეასწავლოს რამდენიმე რუსული ზმა: „Я стою, я лежу, я кушаю, я люблю" დაიდო თურმე გულზე ხელი და სთქვა: „Я"—стою" და გამოიჭიმა, რადა დაენახვებინა ბავშვებისათვის—თუ რასა ნიშნავს „я" და სიტყა „стою", სიტყვა „Я лежу"-ს სწავლებაზე—მასწავლებელი დაჯდა სკამზე, გაშალა ფეხები და თავი სტოლზე დასდვა და იძახოდა „я лежу, я лежу". „Я кушаю"-ს სწავლებაზე ხომ უარესი ყოფილა. პატარა ბიჭს გამოართვა პური (იქნება მეტიც არა ჰქონდა საწყალს!) და ჩაიდო პირში, დადიოდა კლასში და იძახოდა „я кушаю, я кушаю". ამ მაგალითებიდანაც თქვენ კარგად მიჰხვდებით, ბატონო ჩემო, ამ მეტოდის ავ-კარგობას, მაგრამ თქვენ თითონა სცადეთ იგი საქმეში და დაინახავთ—რამდენ სახიფათოს რასმე წარმოადგენს იგი, რამდენ უხერხულ კურიოზებს წააწყდებით მისი წყალობით! ვსთქვათ, ნიკოს გნებავთ, რომ შეასწავლოთ ამ მეტოდით სიტყვა „языкъ", თქვენ ქართულად ხომ არ უნდა უთხრათ ეს სიტყვა, მაშასადამე უნდა გამოუყოთ ენა და იძახოთ: „это языкъ, это языкъ", **დახველება** თუ გინდათ რუსულად შეასწავლოთ, უნდა ძალაუნებურად დაახველოთ, გინდათ—**დაცემინება**, უნდა დააცემინოთ. რამდენ სასაცილო მასალას მისცემთ თქვენ ამით თქვენს სიცოცხლით სავსე ნიკოს! თვითონაც გამოგიყოფთ თავისს ტიკტიკა იარაღს, თვითონაც დააცემინებს, დაახველებს, რომ ახლა თავისი საყვარელი დედა გაამხიარულოს და თქვენი განთქმული მეტოდი მასხარად აიგდოს. მხიარულობა კი აქ, პირველად—ბევრი იქნება, მაგრამ შედეგი კი სავალალო და აი რისთვის: 1) თქვენი ნიკო შეიძულებს იმ ენას, რომლის სწავლებასაც ასე გულითა ხართ მონდომებული და შეიძულებს იმ პირსაც, რომელიც ამისთანა მდგომარეობაში აყენებს ბავშვსა. მე ისიცა მრწამს, რომ თქვენ ძნელად თუ შეგიძულებთ, მაგრამ ყოველთვის ხომ თქვენს ხელში არ იქნება იგი და ამ სიძულვილის რა შედეგი მოსდევს, ამას თქვენ თითონ მიჰხვდებით! 2) ეკარგება თავისი თავის იმედი, სუსტდება თვით-ცნება (самосознаніе) რადგანაც ვერ მოუნელებია ის საჭმელი, რომელსაც მის ქორფა გონებას აწვდიან ასე უხვად. აპატია ენერგება ბავშს, რადგანაც თავისი თავის იმედი აღარ აქვს გაიგოს ის, რასაც მას აწვდიან. ელახება ყურადღება, რადგანაც იცის, რომ ყურიც რომ დაუგდოს, იგი ვერაფერს გაიგებს; 3) ილახება მსჯელობაც (сужденіе), რადგანაც მის ტვინთან მარტოკა სიტყვა მიდის და არა განმარტება სიტყვისა ე. ი. ბავშვის ტვინს არაფერი საზრდო არ ეძლევა—იგი ითვისებს მეხსიერებით მხოლოდ სიტყვას (სახმო შთაბეჭდილებას) (звуковыя впечатлѣнія), რომელთანაც არაფერი წარმოდგენილება არა კავშირდება. 4) ამ მეტოდის წყალობით ბავშვს ვაჩვევთ ყბედობას და ფრაზეორობას, მეტადრე უფრო მაშინ, როდესაც ამ მეტოდით გატაცებული მასწავლებელი დაასწავლის ბავშვს ზეპირად სხვა და სხვა ლექსებს და ამბებს, რათა ყოველ შემთხვევაში კარგად აჩვენოს თავი, ვისთანაც ჯერ არს, ან საზოგადოებაში თავი მოიხვეჭოს „კარგი" მასწავლებლობის სახელით.*) ეს საზიზღარი „თუთიყუშური", თუ შეიძლება ასე დავარქოთ, ჩვეულება ძალიან არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაშიაც, არავინ არა ფიქრობს ამ ჩვეულების შედეგზე, მის ძირიან-ფესვიანად ამოფხვრაზე. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის ფაქტი, რომლის მოწამეც მე გახლდით ამ ზაფხულობით ერთს სააგარაკო ადგილში. ერთს ოჯახში ერთმა პატარა, 7 წლის ქალმა დედის სურვილით თავიდან-ბოლომდის გადმომცა ლერმონტოვის მშვენიერი ლექსი „И скучно и грустно" და იმღერა კიდეც დედის ლოტბარობით. იქმყოფთა აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა და მეტადრე დედის აღტაცებას. როდესაც მე ამაზე უკმაყოფილება გამოვაცხადე და დაუწყე იქ მყოფთ ლაპარაკი ამ ჩვეულების მავნებლობაზე, დედამ იწყინა და უკმაყო-

---

*) შეიძლება მიგვითითოს ვინმემ ზოგიერთ მასწავლებლებზე, რომ ამათ ვითომ და კარგად მიჰყავდეთ ამ მეტოდით რუსული ენის სწავლება· მაგრამ, ჩვენში კი ცარიელ და დასაძლებული მასწავლებლები ძალიან პოლიტიკანი არიან: როცა არავისა ჰხედავენ, ნორმალურად მიჰყავთ სწავლების საქმე ე. ი. სამშობლო ენის შემწეობით, და თუ დაინახეს ვინმე, მაშინ კი სამშობლო ენის შემწეობით მომზადებულს მასალას მუნჯურ მეტადად გარდააქცევენ ხოლმე.

ა. ნ—ძე.

**) Характеръ и нравственное воспитаніе Фр. Кейра.

ეროვნული

ნეს აკ. წერეთლის „თამარ ცბიერი“ და რაფ. ერისთვის „ბიძიასთან გამოხუმრება“; შემდეგ ამათ მოჰყვა დივერტისმენტი—ბაიათების სიმღერა და ლეკური. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით, რომელიც დიდის თანაგრძნობით ეგებებოდა მობენეფისე არტისტ ქალს. პიესები ვერ იყო ხელოვნურად და მწყობრად წარმოდგენილი, ასე რომ დამსწრე საზოგადოება დაკმაყოფილებული ვერ დარჩა; ისევ „ბიძიასთან გამოხუმრებას“ არა უშავდა-რა: ცოცხლად მაინც ჩაატარეს... უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაიათების სიმღერაზე რომ ხელი აიღონ ქართულს სცენაზე, არას დაჰკარგვენ. რაც კარგია ლხინში და ნადიმში, როგორღაც არ უხდება დრამატიულ სცენას.

◆ 20 იანვარს პირველ კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია კრება გეოგრაფიულ საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა, რათა **ამოირჩიონ საზოგადოების მდივანი**.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობას კრება ჰქონდა, რომელზედაც განიხილეს ბ. გუბერნატორისაგან დამტკიცებული სავალდებულო დადგენილებანი ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახებ, რომელიც შემოღებულ უნდა იქმნას პირველ თებერვლიდან. გამგეობამ დაადგინა: დამტკიცებული სავალდებულო დადგენილებანი გადაითარგმნოს ადგილობრივ ენებზე, დაიბეჭდოს 1,200 ცალი და დაურიგდეს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტების ხელით ყველა ხორცის დუქნის პატრონებს და ყასბებს, რომელთაც ეს დადგენილებანი თავიანთ დუქნებში უნდა გამოჰკიდონ. შემდეგ, უფროს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს დაევალოს, რომ გამოსაცდელად რამდენიმე ღორი დააკვლევინოს, რათა დაადგინონ ნიხრი ღორის ხორცზე; მოიწვიოს კომისია, რომელმაც უნდა დაადგინოს ნიხრი საჭირო სანოვაგეზე და განიხილოს ხორცის ხარისხებად დაყოფა. გარდა ამისა, გამგეობამ გადაწყვიტა დაავალოს ქალაქის საყასბოების ბეითლებს, რომ შეადგინონ მხატვრობა ხარისხებად დაყოფილის ხორცისა; ეს მხატვრობაც დაბეჭდონ 1,200 ცალი და დაურიგონ როგორც ყასბებს, აგრეთვე ყველას, ვისაცა სურს. ამასთანავე დაევალოს ქალაქის ბეითლებს, რომ სავაჭრო-სამეურნეო უფროსს ზედამხედველთან ერთად ასწავლონ ყასბებს ხორცის ხარისხებად დაყოფა. ყველა ეს საქმეები უნდა საჩქაროდ გაკეთდეს, რადგანაც უთუოდ პირველ თებერვალს შემოღებულ უნდა იქმნას ახალი დადგენილებანი.

◆ კავკასიის გზათა ოლქის უფროსი ბ. გუნევიჩი პეტერბურგს გაემგზავრა. როგორც გადმოგვცეს, წასვლის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ამ ოლქის მოხელეთა შტატი გაადიდონ და ახლანდელი გზები გააუკეთესონ.

◆ კავკასიის უმთავრეს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან ტფილისში დაარსებულ **შემნახველ კასაში** წასულ 1901 წლის განმავლობაში შესანახად მიუბარებიათ სულ 571,757 მან. 75 კაპ., ხოლო გაუტანიათ 159,066 მან. 80 კაპ.

◆ სახალხო სასწავლებლების დირექციამ **დანიშნა ბ. ნატრაძე** ქალაქის სასწავლებლებში გალობის მასწავლებლად.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორი ნ. ს. **კლენოვსკი** პეტერბურგში გადაჰყავთ.

◆ ქალაქის უმთავრეს სამკურნალოსა და მის განყოფილებებში **სამკურნალო დახმარებით** წასულ 1901 წლის დეკემბრის განმავლობაში უსარგებლია: უმთავრეს სამკურნალოში სულ 1727 ავადმყოფს, სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში 538 ავადმყოფს, ხარფუხის განყოფილებაში 334 ავადმყოფს და კუკიის განყოფილებაში 486 ავადმყოფს.

◆ დღეს, 19 იანვარს, საღამოს 8 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა ქალაქის საბჭოს **საფინანსო კომისიისა** სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ სოფ. ავლევის (გორის მაზრა) კერძო **ქსენონის** მმართველად დაინიშნა ექიმი იოსებ რაფაელის ძე პაპიკოვი.

◆ როგორც გვატყობინებენ, სოფელ წინწყაროში (ტფილ. მაზრა) **წითელა** გაჩენილა. ავად გამხდარა ამ თვის 8-დან 16-დე 35 სული, მათ შორის 6 გარდაცვლილა, დანარჩენნი ჯერ ავად არიან.

◆ „სიმენს და გალსკე“-ს ფირმის წარმომადგენელმა სთხოვა ქალაქს, რომ ნება მიეცეს ხსენებულ ფირმას—**სერგიევის ქუჩაზედ** ბოძები დასვას ზოგიერთი სახლების ელექტრონით განათებისათვის. ქალაქის გამგეობამ შესაძლებლად დაინახა ამ თხოვნის დაკმაყოფილება, მხოლოდ ამასთანავე დაადგინა, მთხოვნელს ხელწერილი ჩამოერთვას, რომ იმან უნდა აალაგოს დადგმული ბოძები, როდესაც ქალაქი თითონ გაანათებს ქუჩებს ელექტრონით. გარდა ამისა, გამგეობამ სამართლიანად დაინახა, დაავალოს ფირმას, რომ სერგიევის ქუჩის გასანათებლად სამი ფანარი დადგას.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორმა რაგოლიერმა აუწყა ქალაქის გამგეობას, რომ თუ იმასა სურს, საზოგადოების წიგნებ-დავთრები **გადმოტანილი იქნება** ბელგიიდან ტფილისში, საზოგადოების სამმართველოში საწარმოებლად.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო, რომ გურგენბეგოვს მიეცეს ნება იჯარით სასანიტარო საექიმო შენობების აგებისა კავკასიის შემდეგს ადგილებში: ხუდაფერინში (განჯის გუბ.), ჯულფაში შახტახტინში (ერევნის გუბ.) და კარაურგანში (ყარსის ოლქი). მინისტრისაგან დამტკიცებულის გეგმით აგებული უნდა იყოს თითო ადგილს 11 შენობა: სამი საექიმო თავშესაფარისთვის, სადეზინფექციო კამერისთვის და დანარჩენნი მკურნალების სადგომად. მთელი სამუშაო გაცემულია იჯარით 150,000 მან.

◆ 17 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თელავის მაზრის მცხოვრების ივანე მაისურაძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ამავე მაზრის მცხოვრების აზარიაშვილის მოკვლის განზრახვა. პირველად ეს საქმე განუხილავს ტფილისის ოლქის სასამართლოს, დამნაშავედ უცვნია მაისურაძე და გარდაუწყვეტია მისთვის ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $1^{1}/_{2}$ წლით გაგზავნა. მაისურაძეს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სასამართლო პალატაში, რომელსაც დაუმტკიცებია სასამართლოს გარდაწყვეტილება. რადგანაც ამ გარდაწყვეტილებაზე ბრალდებული არ დათანხმებულა, მისს ვექილს, ბ-ნ ყარაბეგოვს, კასაციური საჩივარი აღუძრავს სენატში, სადაც პალატის გარდაწყვეტილება გაუუქმებიათ და საქმის ხელმეორედ განხილვა მიუნდვიათ პალატის მეორე დეპარტამენტისათვის. 17 იანვარს პალატამ უდანაშაულოდ იცნო აღნიშნულ ბრალდებაში ივ. მაისურაძე და სრულიად გაამართლა იგი.

დაბა-სოფლები

ჩოლური (ქვემო სვანეთი) დიდი ხანია არავის მოსწრებია ასეთი გრძელი და თან სასტიკი ზამთარი: შუა ოქტომბრიდან დედა მიწა გამოესალმა ცას და თოვლით დაიფარა. მას შემდეგ თან-დათან მატულობს თოვლი და ექვს იანვარს საჟენამდისაც მიაღწია. დიდათ მავნებელი და შემავიწროებელი შეიქმნა ასეთი ზამთარი მკვიდრთათვის, რადგან აურაცხელი საკვებია საჭირო შინაური პირუტყვისათვის, რომელიც აპრილამდისაც ვერ გავა საძოვარზე, სკოლებში სწავლა შეწყვეტილია, რადგან დიდი თოვლის გამო მიმოსვლა შეუძლებელია არა თუ ბავშვებისათვის, არამედ მოზრდილთათვისაც კი. ამისათვის კარგი იქნება, რომ აქ ზამთრის კანიკულები იქმნას შემოღებული, როგორც ეს ლეჩხუმის ზოგიერთ სოფელშია. ამაზე ქვემო სვანეთის ყველა მასწავლებელი დათანხმდება, რადგან აქ ზაფხულობით საუცხოვო გრილი და სასარგებლო ჰავაა.

ზეინდარი (ქუთ. მაზრა) 26 დეკემბერს ს. ზეინდარს თ. ერისთვებმა მოჰკლეს ერთი გლეხი, ცინცაძე და ორი ამ უკანასკნელის მეგვარენი მძიმედ დასჭრეს.

ტყიბულში (ქუთ. მაზრა). მძვინვარებს ყვავილი. ორი უკვე იმსხვერპლა.

ოკრიბაში (ქუთ. მაზრა) საშინლად მოდებულია ბდერი. გაგიკვირდებათ ოჯახის ნახვა, რომ ეს ავადმყოფობა ან არ ჭირებოდეს და ან ეხლა არ სჭირდეს ოჯახის თითქმის ყველა წევრთ.

გალმა კურსები (ქუთ. მაზრა). პირველ იანვარს, აზნაურმა სიკომ და სამმა მისმა შვილებმა გოგოლაშვილებმა, ორის სახლიკაცის დახმარებით, მოჰკლეს ბეტებით ამავე სოფელში მცხოვრები გლეხი ალექსანდრე ნიშნიანიძე. ყველანი იმავე ღამეს შეიპყრო ბოქაულმა არსენიევმა და გაგზავნა გამომძიებელთან.

რუსეთის ქრონიკა

∝ გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ ცნობა „ნოვ. ვრემია“-დან იმის შესახებ, რომ უწმ. სინოდს ნება მიუცია ცოლ-შვილიან მღვდლებისათვის ისწავლონ აკადემიებში. დღეს იგივე „ნოვ. ვრ.“ გვაცნობებს, რომ ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია: სინოდს ჯერ არ გადაუწყვეტია ეს საკითხი.

∝ რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა კრებამ, სხვათა შორის, გზათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მალე იქნას დაარსებული კლასები რკინის გზების უფროს მუშათა მოსამზადებლად და ამასთანავე დაარსებულ იქნას კიდევ რამდენიმე ტეხნიკური სასწავლებელი სხვა-და-სხვა რაიონებში.

∝ 1902 წლისათვის ახალ რკინის გზების გასაყვანად გადადებულია 162.320.403 მან.; გასულ წელს კი ამ საქმისთვის მხოლოდ 39.251.319 მან. იყო გადადებული.

∝ გუშინ ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ თებერვალში დაიწყებს მუშაობას სამეურნეო საბჭო, რომელიც ყოველ წელს იკრიბება ხოლმე მიწად-მოქმედების სამინისტროში. გაზეთების სიტყვით, წელს ამ საბჭოს განსახილველად აქვს საყურადღებო პროექტი განუყოფელ ადგილ-მამულების დაარსების შესახებ. განზრახულია, დიდ მემამულეთ მიეცეს ნება აღიარონ თავისი მამული (ერთიანი) განუყოფელად. ამ შემთხვევაში მამული მემკვიდრეობით გადავა მის უფროს შვილზე, რომელმაც აგრეთვე თავის უფროს შვილს უნდა დაუტოვოს განუყოფელი მამული; დანარჩენი შვილები ფულით უნდა იქნან დაკმაყოფილებულნი: მათ მიეცემა მამულის მათის ნაწილის ღირებულება. რათა მემკვიდრეს გაუადვილდეს ძმებისა ან დების გასტუმრება, მამული შეიძლება დაგირავებულ იქნას მეტად შეღავათიანის პირობებით სახელმწიფო ბანკში. ამ რიგად ეს პროექტი აწესებს მაიორატობას, მხოლოდ არა სავალდებულოს და ამასთანავე ყველა მემამულესათვის წოდების განურჩევლად. საბჭოსაგან განხილვისა და შემუშავების შემდეგ პროექტი დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს წარედგინება... გარდა ამ საქმისა, სამეურნეო საბჭოს წარედგინება განსახილველად პროექტი რუსეთში პირუტყვის მოშენების გაძლიერებისა და გაუმჯობესების შესახებ.

პრესსა

ამ დღეებში ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ საგანგებო კომისიამ დაასრულა მუშაობა თავად-აზნაურთა საქმეების გამო და შეიმუშავა პროექტი თავად-აზნაურობის დახმარების შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, კომისიამ თავისი ყურადღება შეაჩერა ზოგიერთ ეკონომიურ საშუალებაზე და აგრეთვე თავად-აზნაურობის მოზარდ თაობის აღზრდაზე. განზრახულია, დაეხმარონ თავად-აზნაურთ მიწადმფლობელობის საქმეში, კრედიტის გაიაფებაში, სწავლა-განათლების გაძლიერებაში და

ფილება გამოაცხადა ამ ჩემს შენიშვნაზე. ეს დალოცვილიშვილები, პედაგოგი კეირასი არ იყვეს, უთავბოლოდ დასწავლილ ფრაზების წარმოთქმისათვის მზად არიან ბავშვს „გენიოსი“ დაუძახონ და თუთიყუშს კი, რომელიც მშვენივრად და გარკვევით იძახის „გოგო, პური მშია; ნიკო; მოდი აქ“ და სხ., იმას კი ჭკვიანსაც არავინ უძახის. თუმცა კი ორივეს სიტყვების დასწავლაში არაფერი გარჩევაა; 2) მეორე მეტოდი, რომელსაც აღწერილობითი მეტოდი უწოდე მხოლოდ იმითაა კარგი, რომ ბავშვი სწავლობს იმას, რასაცა ჰხედავს და სწავლობს სამშობლო ენის შემწეობით, თუმცა კი ამ მეტოდით ბავშვი რუსულს ენას ვერ ისწავლის, რადგანაც ერთს საგანთანა აქვს საქმე და ამ საგნის ნაწილების გარეშემო ტრიალებს იგი. это карандашъ, карандашъ состоитъ изъ 2-хъ частей და სხვ. ან Книга учебная вещь, она состоитъ изъ 2 хъ частей და სხვ. და სხვ. ამ მეტოდით ბავშვი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, რუსულ ლაპარაკს ვერ ისწავლის და ეჭვი მაქვს, რომ კითხვაც ისწავლოს, რადგანაც, რაც სიტყვები ამ აღწერაში იმის, ბავშვი უმეტესად ცხოვრებაში ვერ გაიგონებს და მაშასადამე ვერც ხშირად გაიმეორებს რომ უკეთესად ჩაეთესლოს ეს სიტყვები და 2) სწყინდება კიდეც ბავშვს ეს ერთგვარი აღწერილობა საგნისა. ამ მეტოდს მომხრეები ძალიან ცოტანი ჰყავს და ვინც არიან—ესენი სულ თეორეტიკები არიან და მაშასადამე მათი მეტოდი პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებულია.

თქვენ კი, მოწყალეო ხელმწიფევ, დაადექით უეჭველად ნორმალურ გზას და ნუ გადაუხვევთ ამ გზას. ასწავლეთ ბავშვს ცოცხალი ენა, ჯერ ქართული საგანი, მერე სიტყვა და სულ ბოლოს პატარ-პატარა წინადადებები. აქ ნუ დაივიწყებთ პედ. მოძღვრებას—ადვილიდან ძნელზე გადასვლას, ახლოდან-შორს გადახვევას. პირველად ასწავლეთ ის, რაც ნიკოს თვალ-წინა აქვს, რაც უფრო ადვილია გამოსათქმელად, რაც უფრო უახლოვდება სამშობლო ენას. და განა რა იქნება ისეთი კარგი სიტყვა, ისე ადვილად შესათვისებელი, როგორიც არის სიტყვა „Мама“. რამდენ სიამოვნებას მოჰგვრის ნიკოს ეს დალოცვილი სიტყვა, რა ალტაცებაში მოჰყავს, რა-ნაირად გაამხნევებს მას სხვა სიტყვების შესწავლაში; ამ სიტყვის გაგონებაზე ნიკო გაგექცევათ კიდეც გარეთ, რომ რაც შეიძლება მალე შეატყობინოს თავის ტოლ-ამხანაგებს, გააგონოს, რომ მისი საყვარელი ქართული სიტყვა **დედა**—რუსულად „Мама“-ა. არ გავა რამდენიმე წუთიც კი, რომ ნიკომ არ მოინდომოს შეტყობა—თუ რუსულად როგორ არის სიტყვა **მამა**. თქვენც უთხარით „Папа“ და თქვენს შვილს გაუორკეცეთ სიხარული და ალტაცება. ამ სიტყვებს მოაყოლეთ იმისთანა რუსული სიტყვებიც, რომლებიც გამოსათქმელად ადვილია, რომელიც ქართულად კარგად იცის და რომელზედაც წარმოდგენილობა აქვს დამყარებული. ყოველ-დღე—$^{1}/_{2}$ საათი ასწავლეთ ცოტ-ცოტა, რომ მისი მეხსიერება არ დაიღალოს, არ მოჰბეზრდეს მას ამ საჭირო ენის შესწავლა. სიტყვებს მიაყოლეთ ადვილი ზმნებიც, მაგრამ ფრთხილად კი, რომ გრამმატიკულ ფორმებში არ შეატოპინოთ იგი. თქვენ ისევ შესწავლილ სიტყვებს დაუბრუნდით, მეტადრე სიტყვა „Мама“. გამოიჭიმეთ მის წინ და ჰკითხეთ ქართულად თქვენი მდგომარეობა—მე შენი რა ვარ? **დედა**.—დედა ეხლა რას აკეთებს? **დედა დგას**.—**დგას** რუსულად, შვილო, стоитъ: დედა დგას—რუსულად—„Мама стоитъ“. ნიკომ უკვე იცის სიტყვა „стоитъ“ და ეხლავე თვითონვე შეადგენს წინადადებას სხვა შესწავლილი სიტყვების შემწეობით. Мама стоитъ, Папа стоитъ, Дядя стоитъ, столъ стоитъ და სხვა-და-სხვა. ასევე ასწავლეთ სხვა ზმნებიც, მხოლოდ კი პირველად **მესამე პირში**. ამას მიუმატეთ პაწაწინა სიტყვებიც „здѣсь, тамъ, кто, что“ და ნიკო ამ სიტყვების დამატებით მრავალ წინადადებას შეადგენს. ასე ამ გვარად შეასწავლეთ ხოლმე დაახლოვებული ნივთების სახელი, სასწავლო ნივთები, ჭურჭელი, ავეჯეულობანი, იარაღები, უმატეთ ამათ ზმნები ჯერ მესამე პირად მერე სხვა პირებიც შეასწავლეთ. როდესაც შეატყოთ, რომ ნიკოს სიტყვები ბევრიცა და კარგადაცა აქვს შეთვისებული, შეასწავლეთ საგნის თვისებაც, მდგომარეობაც და ნელ-ნელა გაიყვანეთ გარედაც, დაანახვეთ ცხოველები, სახლები, საყდრები, მათი მცხოვრებნი, სკოლა. მიაქციეთ ყურადღება ცხოველების **ხმიანობას**, მათ ფერს, მათ ცელქობა-თამაშობას და უამბეთ ხოლმე მოკლე-მოკლე ეპიზოდები მათი ცხოვრებიდან ჯერ ქართულად, მერე რუსულად. „Кошка сдѣлала прижокъ—хочетъ поймать мышку, мышка бѣжитъ въ норку“. ან Это большая собака, это маленькая—большая собака лаетъ на маленькую собаку. маленькая—стоитъ и смотритъ на большую собаку და სხვა ამგვარი ეპიზოდები, რომლებიც უკვე ნახული და გაგონილი აქვს ბავშვს და სამშობლო ენის შემწეობით შეთვისებულ-შესწავლილი. ასე ამგვარად აფართოვეთ თქვენი ნიკოს სწავლა, ნუ გადუხვევთ ამ გზას და თქვენი ბენიერი თვალითა ნახავთ ნიკოს წარმატებას, მის ცოდნას, მის ჭკუა გახსნილობას და თქვენი შვილის მაგალითით ბევრს მშობლებს დაიხსნით იმ უკუღმართობიდან, რომლის შესახებაც ასე ბევრი ვილაპარაკე ამ წერილის თავში.

ალ. ნათაძე.

სხვა. მაგრამ, როგორც სჩანს, რუსეთის თავად-აზნაურობა კმაყოფილი არ არის ამგვარ ზომებით; მისი ინტერესების დამცველი გაზეთები („გრაჟდანინ“, „მოსკ. ვედომ.“, „რუსკ. დელო“, „სვეტ“ და რამდენიმე სხვაც) იწუნებენ შემუშავებულს პროექტს და პალიატიურ ღონისძიებათ აღიარებენ ზემო აღნიშნულ საშუალებათ... მაშ, რას მოელოდა თავად-აზნაურობა? ნუ-თუ მას ჰგონია, რომ ახლა შესაძლებელი იყოს მისი წინანდელი მნიშვნელობის აღდგენა? ამ საკითხის გამო აი რასა ვკითხულობთ „პეტერბ. ვედომ.“-ში:

> თავად-აზნაურობა ჩვენს დროში ის წოდება აღარ არის, რომელიც თავის ჩამომავლობის ძალით სახელმწიფოს მსახურად ითვლებოდა და ამის მიხედვით სარგებლობდა პოლიტიკურის უპირატესობა-უფლებებით. ახლა ის მხოლოდ ერთ-ერთი საზოგადოებრივი ელემენტია, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ინტერესები აქვს. თუ ამის მიხედვით განვიხილავთ საკითხს, უნდა დავრწმუნდეთ, რომ თავად-აზნაურობის დახმარება ყოველთვის პალიატივით გათავდება. თანამედროვე სახელმწიფო არ ერევა ერის ეკონომიურს ცხოვრებაში ანა და იშვიათ შემთხვევაში ერევა; სხვა-და-სხვა ელემენტებს თავისუფალი ეკონომიური ურთიერთობა აქვთ და ახლანდელს სახელმწიფოს არ შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ეს სისტემა თავად-აზნაურთა მნიშვნელობის აღსადგენად.
>
> თუ სახეში გვექნება ესეთი თანამედროვე პირობები, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ საგანგებო კომისიამ შეასრულა ყოველივე ის, რაც შეეძლო და იმაზე მეტიც, რასაც თანამედროვე სახელმწიფო იდეია შესაძლებლად სთვლის; ხოლო თუ თავად-აზნაურობის იმედები სავსებით არ გამართლდა, ამაში დამნაშავეა მხოლოდ ისტორია, რომლის ბორბლის უკან დატრიალება ან გაჩერება არ შეიძლება...
>
> უნდა ვსთქვათ, რომ თავად-აზნაურობის საუკეთესო ნაწილი ამას კარგად გრძნობს და ამიტომ თავის მოვალეობად სთვლის ხალხის ინტერესების დაცვას და არა წოდებრივ უპირატესობის დაბრუნებას. ამ შემთხვევაში ის ხელს აძლევს ინტელიგენციას და მასთან სურს მუშაობა საერთო კეთილდღეობისათვის.

* * *

ფინანსთა სამინისტროს მოხსენება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის შესახებ, სხვათა შორის, ამბობს, რომ ბიუჯეტი დამყარებულია არა პირდაპირ გადასახადებზე; მაგალითად, ჩაისა და შაქრის, სასმელების, საფაბრიკო ნაწარმოებისა და სხვა საქონლის ბაჟზე. რამდენად უფრო მეტს ხარჯავს ხალხი ამ საქონელის ყიდვაში, იმდენად უფრო მეტია სახელმწიფოს შემოსავალიცო. ამიტომო, ამბობს მოხსენება, ჩვენი ბიუჯეტი უტყუარი მაჩვენებელია ხალხის ეკონომიურის მდგომარეობისა: მატულობს შემოსავალი, მაშასადამე, ხალხის კეთილდღეობაც ძლიერდებაო. ამ დასკვნას ცოტათი არ ეთანხმება გაზეთი „პრომიშლ. მირ“.; მისის აზრით, მოხსენების მოსაზრება სრულიად შესაწყნარებელი იქნებოდა,

> რომ სახელმწიფო შემოსავლის ზრდასთან თანაბრად იზრდებოდეს ხალხისაგან ხსენებულ საქონლის მოხმარებაც.. ნამდვილად კი ჩვენ ვხედავთ, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი ბიუჯეტი 86 პროცენტით გაძლიერდა, ხალხი ჩაის ყიდულობს მხოლოდ 20 პროცენტით მეტს, შაქარს—22 პროცენტით, საფაბრიკო ნაწარმოებს—25 პროცენტით, ნავთს—33 პროცენტით, რკინასა და ფოლადს—50 პროცენტით და სხვა. თუ შევადარებთ ხალხისაგან სხვა-და-სხვა საქონლის მოხმარების ციფრებსა და ბიუჯეტის ციფრებს, ჩვენ დავინახავთ, რომ სახელმწიფო შემოსავალი ბევრად უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე ხალხის მომხმარებელი ძალა.

ქართული საღამო ბათუმში

14 იანვარს ქართულმა საღამომ ჩვეულებრივად მეტად შნოიანად ჩაიარა. აქაური საზოგადოება მეტად შეწუხებული იყო ამ საღამოის მოლოდინში, რადგან ათასი დაბრკოლება აღმოუჩნდა; უპირველესი ის იყო, რომ ამას წინად დაიწვა ბათუმის საზოგადო სკრებულოს შენობა, რომელშიაც ყოველთვის იმართებოდა ჩვენი საღამოები. შესაფერი დარბაზი კი არსად მოიძებნებოდა; დიდი რჩევისა და ყოყმანის შემდეგ აირჩიეს სასტუმრო „იმპერიალის“ დარბაზი, სადაც შესაძლებელი იყო უფრო მეტის საზოგადოების დატევა. ამ მხრით მოლოდინმა არ გვიმტყუვნა; საღამოს დიდ-ძალი საზოგადოება მოაწყდა, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი დაერიდა მოსვლას, რადგან წინ-და-წინ იცოდნენ, რომ მეტის-მეტი სივიწროვე იქნებოდა. სასტუმროში ტევა არ იყო.

საღამო დაიწყო ჩვეულებისამებრ მშვენიერ კონცერტიულ განყოფილებით. ტფილისის ოპერიდან მოწვეულმა მომღერალმა ბატ. კამიონსკიმ მეტად ასიამოვნა საზოგადოება თავის სიმღერებით. მომღერალმა არ დაიშურა და რაც პროგრამაში დანიშნული ჰქონდა, სამი იმოდენი იმღერა. ქართულმა ხორომ, ბატ. შარაბიძის ლოტბარობით, მშვენივრად აასრულა ქართული ხმები. მშვენივრად წაიკითხა აქაური გიმნაზიის მასწავლებელმა ბ. ნ. დერჟავინმა რუსულად ნათარგმნი მამია გურიელის „ადამიანი“ და მერეჟკოვსკისა „სკიამუნი“; ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა აკაკიმ აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება; დიდათ ასიამოვნა საზოგადოება ქუთაისიდან მოწვეულმა ახალგაზრდა მომღერალმა ბატ. თუთბერიძემ თავისი ლამაზის ხმით; ბატ. აპოლ. წულაძემ ბევრი აცინა დამსწრენი თავის სცენებით გურულთა ცხოვრებიდან; მეტად ლამაზათ წაიკითხეს სკოლის ორმა ბავშვმა ქართული ლექსები, ნამეტურ პატარა პოლოლიკაშვილმა. ჩინებული იყო ტრიო შემდგარი ბატ. სულტანოვიჩისაგან. თავ. ნ. ნაკაშიძისა და ლ. ლ. მარკოვისაგან, თავ. ი. ბარათაშვილმა-კი გაიტაცა მთლად საზოგადოება თავისი მშვენიერის სიმღერებით და თარზედ დაკვრით. კონცერტიული განყოფილების შემდეგ გახალდა ცეკვა—ევროპიული და ქართული. ლეკურს, რასაკვირველია, ეჭირა პირველი ადგილი. ბედმა ხელი შეუწყო საღამოს და სწორედ თვალსაჩინო მოლეკურეთ მოუყარა თავი. ტფილისიდან მოწვეული გვყავდა ჩვენი სახელოვანი არტისტიქალი ელ. ჩერქეზიშვილისა, რომელმაც (რაღა ბევრი ვილაპარაკო) თავისი მოხდენილი ლეკურით და უზუნდარას თამაშით განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და ძრიელ ასიამოვნა საზოგადოება; მშვენიერი იყო კნიაჟნა ვახვახიშვილისა; აგრეთვე ქალბ. ალიხანოვისა, რომელმაც საოცარი გრაციით იცეკვა ახალი ერევნელ სომხებში გავრცელებული საცეკვავი სახელწოდებით „რანგი“; მშვენიერები იყვნენ თავ. მაყაშვილი, ვეზირიშვილი და ჩიქოვანი—თავიანთ მოხდენილი ლეკურით. ერთი სიტყვით საღამომ მეტის-მეტად შნოიანად და მხიარულათ ჩაიარა. შემოსავალია 2200 მან; ხარჯს გარდა სკოლას დაურჩება უსათუოთ 1300—1200 მანეთი.

განსაკუთრებულ მადლობის ღირსია ქალბ. ელისაბედ ნიკოლოოზის ასული გინკულოვისა, თავ. ციციშვილის ასული, რომელმაც თავის შვილთან ერთად ბევრი იზრუნა ამ საღამოს მომზადებისათვის და რომელიც თვით საღამოს დიასახლისიც იყო. ამ მანდილოსანმა, ქალ. მ. გოგიჯანიშვილის მეუღლესთან ერთად. იმოდენი შრომა გასწია, რომ სკოლისათვის შეაგროვა ქარხნებში და სავაჭრო კანტორებში 630 მ. ქალ. ელ. ნიკ. გინკულოვისა მით უფრო ღირსია მადლობისა, რომ მუდამ, ყოველ წელიწადს მომხმარეა სკოლისა ამ საღამოებზე და არასოდეს არავითარ მიზეზით არ არიდებს თავს ამ საღამოსათვის საჭირო, მაგრამ მძიმე და უსიამოვნო, შრომას.

ქ.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ უღულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“, „მოამბის“, „კვალის“, „Новое Обозрѣніе“-ს, „Кавказскій Вѣстникъ“-ის, «მოგზაურის», „მწყემსის“, „Пастырь“-ის და „Черноморскій Вѣстникъ“-ის რედაქციებს, რომლებიც უსასყიდლოთ ან დაკლებულ ფასათ გვიგზავნიდნენ თავიანთ გამოცემებს.

ამხანაგების მონდობილობით იურიევის უნივერსტ. სტუდ. **ს. ტოროშელიძე**.

II

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით უღულითადესი მადლობა გამოვუცხადო იასონ და ზურაბ ჩიკვილაძეებს, რომლებმაც შემოსწირეს ალაგირის ჩემდამორწმუნებულს ქართულ სამრევლო სკოლას: პირველმა-ჟურნალ „მოამბის“ 1900 წლის გამოცემა, ხოლო მეორემ შემოსწირა სკოლას 1902 წლის კალენდრები, ერთი კედლისა ღირებული 40 კ. და ორიც უბის-40 კ., იმედია, სხვებიც მიჰბაძავენ ამათ მაგალითსა და შემწეობას აღმოუჩენენ ამ ღარიბს და უცხო ქვეყანაში გამართოვებელს ქართულ სკოლას. შემომწირველთ ვთხოვთ გამოგზავნონ თავიანთი წვლილი შემდეგის ადრესით:

Алагиръ, Въ Грузинскую школу, учителю
Павлу Ломтатидзе.

III

ბატონო რედაქტორო! უღულითადეს მადლობას ვუცხადებ «ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს, ამ ხანად გახსნილს, სოფ. დვირის წერა-კითხვის სკოლას შემოსწირა 30 ცალი „დედაენა“ და 100 ც. ქართული საწერი რვეული. დიდს მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ბ-ნ ი. გოგებაშვილს, რომელმაც ამავე სკოლას შემოსწირა 10 ცალი „დედაენა“ და 50 რვეული.

ს. დვირის მღვდელი **ილია. შუღლაძე**.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 იანვარი

ბორისოგლებსკი. ქალაქის თავი პეტერბურგს წავიდა, სადაც უნდა იშუამდგომლოს, რომ ქალაქში შემოტანილ და იქიდან გატანილ საქონელზე დაწესდეს გადასახადი, რაიც ქალაქს ესაჭიროება ქუჩების მოსაკირწყლავად.

ტობოლსკი. ხმოსანთა არჩევნები გადადებულია.

ვოლოგდა. იარმარკა გაიხსნა.

კურსკი. თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება გაიხსნა.

ლონდონი. ნიდერლანდიის მთავრობას არ წარმოუდგენია სამშვიდობო წინადადებანი; მხოლოდ ცდილობდა აექულებინა ინგლისის მთავრობა, რომ მას გამოენახა სახსარი ომის გათავებისათვის.

ველინგტონი. ახალ ზელანდიიდან სამხრეთ-აფრიკაში გაემგზავრა 500 ოფიცერი და ჯარის კაცი ცხენებით; შემდეგი ხუთასი წავლენ 8 თებერვალს; თუ საჭირო შეიქმნა, ორი რაზმი კიდევ წავა ათას-ათასის კაცით.

ტიანძინი. იმპერატორმა უბძანა ადმირალ იეხუს, რომ ჩიფუში საზღვაო სკოლა დააარსოს.

ვარშავა. სამიწად-მოქმედო სკოლის წესდება ებრაელებისთვის დაამტკიცეს.

ჟიტომირი. ადგილობრივმა მემამულემ, ბარონ შოდუარმა, შესწირა 25,000 მან., რათა გაათვართოვონ მარიამის ბავშვთა თავშესაფარის სახელოსნო კლასები.

კიევი. გოგოლის სახსოვრად გამართულის დღესასწაულის გამო, საისტორიო საზოგადოება გამართავს ექვსს საზოგადო ლექციას.

ბორისოგლებსკი. სარატოვიდან ბალაშოვში წავიდა სამოსამართლო პალატის სესია, რათა გაარჩიოს ტურკინების გაკოტრებული სავაჭრო სახლის საქმე.

ლოძი. ალექსანდროვში მოხდება ვარშავავენის, კალიშის და პრუსიის რკინის გზების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს კალიშის გზის პრუსიის გზასთან შეერთების საქმე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მინისტრთა კომიტეტმა უარჰყო საგუბერნიო ერობის შუამდგომლობა, რომ აღდგენილ იყოს 1864 წლ. დებულებით ერობის ხმოსანთა არჩევნების წესი.

სიმეონოვში იხსნება იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახელის ბავშვთა თავშესაფარი.

მოსკოვი. სლავიანთა საზოგადოებაში შემდგარმა კომისიამ შეიმუშავა პროგრამმა, თუ როგორ უნდა იდღესასწაულონ 25 წლის იუბილეი 1877—1878 წლებში მომხდარ ომისა, რომლის შემდეგ განთავისუფლებულ იქმნენ ოსმალეთისაგან ბულგარია და სერბია.

ხარკოვი. ხარკოვის უნივერსიტეტმა იდღესასწაულა თავის არსებობის 98 წლის თავი.

ლოძი. ადგილობრივ მეფაბრიკეთა კრება მოხდა; კრებაზე გამოითქვა აზრი შესახებ ნაქსოვ საქონელზე ბაჟის გადახდისა; ეს აზრი უნდა წარუდგინოს ფინანსთა მინისტრს.

18 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანებანი: ხერსონის გუბერნატორი თავადი ობოლენსკი დაინიშნა ხარკოვის გუბერნატორად; ბეჭდვითი საქმის უმთავრეს სამმართველოს საბჭოს წევრი იანკულიო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, მისივე თხოვნის თანახმად.

სამხედრო საბჭომ დაადგინა, 1902 წლიდან უმთავრეს შტაბის ნიკოლოოზის აკადემიაში მისაღებ ეგზამენების დროს სხვა სავალდებულო საგანთა შორის ტოპოგრაფიული ხატვაც შემოიღონ.

ბერლინი. სადამოჟნო ტარიფის კომისიაში დაამტკიცეს წინადადება შესახებ იმისა, რომ საქონელს უნდა ჰქონდეს სავალდებულო მოწმობა იმაზე, თუ სადაური ნაწარმოებია საქონელი, მიუხედავად მთავრობის განცხადებისა, რომ თუ ვინიცობაა, ეს დამატება მიღებულ იქმნა, ახალი ტარიფის პროექტის შესახებ შეთანხმება არ მოხდება. აგრარიების გაზეთები ძალიან სწუხან იმ ოფიციალურ განცხადების გამო, რომ მთავრობა არ დასთანხმდება არც პურზე გადასახადის მომატებას და არც სხვა რომელიმე სასოფლო-სამეურნეო სანოვაგეზე მინიმალურ ნორმის დადგენილებას.

ლონდონი. გამოცხადდა ცნობება აბრაჰამსკრაალთან, კოფიფონტენის ახლოს, მომხდარ ზარალის შესახებ: მოკლულია პოლკოვნიკი დიუმულენი და რვა ჯარის კაცი სესეგის პოლკისა, დაჭრილია შვიდი.

ეკატერინოსლავი. თავად-აზნაურთა კრება გაიხსნა.

ჩიტა. ოლქის სასამართლოში გაარჩიეს სადაო საქმე, რომლითაც ბოდაიბინის ოქროს მრეწველთა ამხანაგობას ნემჩინოვები სთხოვენ 2,665 ათასს მანეთს და 20 ათას მანეთს ხარჯს.

კიშინევი. ტირასპოლის სადგურზე საქონლის მატარებელი დაიმსხვრა; 13 ვაგონი სრულიად დაქუცმაცდა; მოკლულია უფროსი კონდუქტორი, დაჭრილები არიან—მაშინისტი, იმის თანაშემწე და ორი კონდუქტორი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო - გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

„წიგ. გამოშც. ქართველთა ამხანაგობის“

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთვის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისი	—	30
ალა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფოსტით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.**

Дозволено цензурою Тифлисъ, 18 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.